





რკინის გზებზე!



184



40

1920 წ.

აგვისტოს 28



9939

სადგურის უფროსი. ბატონო მინისტრო! ჩემდამი რწმუნებულ სადგურზე ყველაფერი სრულ  
 წესრიგზეა და რკინის გზის მოხელენი ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან.  
 ბ—ში მინისტრი?!?...

# ს ა მ ო თ ხ ე შ ი

ნელისა, მაგრამ დარბაისლური ნაბიჯით ავიდა ბრალდებული ტრიბუნაზე. თვალი მოავლო სმენად გადაქცეულ საზოგადოებას და დაიწყო:

— მოქალაქენო! ყველაფერი რაც აქ ითქვა ჩემს შესახებ არის სრული სიყ...

ბრალდებულს ფერი წაუვიდა... მთელმა ტანმა კანკალი დაუწყო... სპეტაკ წვერზე ორი ობოლი ცრემლი ჩამოუვარდა და გული შეუწუხდა. მყისვე დინჯათ წარმოსდგა საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე და განაცხადა:

მამულიშვილნო! ვინაიდან ბრალდებულს საშუალება არა აქვს სიტყვის წარმოთქმისა, სხდომას ვხურავ მომავალ ხუთშაბათამდე.

ხალხი დიდის ჩოჩქოლით და კამათით დაიშალა. (ჩვენც მოუცადოთ).

ეშმაკი.

## კ ო შ მ ა რ ი.

ამ თვის 10-ს ჩემი ცოლისაგან (სააგარაკოთ არის წასული) შემდეგი დებეშა მივიღე: „Пилтвись антеба маквьсь цоцхалсь момисцари. რიბადი.“ ჩემს ცოლს მხოლოდ ბაბო ჰქვია და ეს წინა „ბი,“ ეტყობოდა, გულუხვი ტელეგრაფისტის უფასო მიწამატი იყო.

ამ დებეშამ დიდ საგონებელში ჩამაგდო და სულ მთლად ამირია დავთარი.

თვალწინ დამიდგა სულთ-მობრძავი ჩემი ცოლი ისე ნათლად, თითქოს იქვე ვყოფილიყავი და წამსვე გაჰქრა ყველა იმ უსიამოვნებისა და ტანჯვა-წამების მოგონება, შე რომ იმისგან მახსოვდა.

— უნდა დაუყოვნებლივ წავიდე! — ფიქრობდი მე: მართალია, კანონიერი ცოლია ჩემი, მაგრამ მაინც ხომ ადამიანის შვილია... ესეც არ იყოს, ჩემი ბავშვების ღვიძლი დედაა. ეს მე ბევრათ უფრო დარწმუნებით ვიცი, ვიდრე ის, რომ თვით მე იმავე ბავშვების ღვიძლი მამა ვარ... მაშ უნდა წავიდე უახლოესი მატარებლით!

ჩემი წასვლა კი მრავალ უსიამოვნებასთან იყო დაკავშირებული:

ჯერ ერთი — ფულის შოვნა. მომაკვდავ ადამიანთან მივდიოდი ამ სიძვირის დროს, ვინ იცის, რა იყო მოსალოდნელი და ფული ბლომით უნდა შემოვინა.

მეორე — იმ აწყობილი ცხოვრების დარღვევა, ძლივს რომ მოვაგვარე ცოლის სააგარაკოთ გაშვების შემდეგ.

მესამე — სწორეთ მეორე დღისთვის, ე. ი. ამ თვის II-სთვის, ერთ კოპწია დენიკინელ რუსის ქალს ევბირდი ბოტანიკურ ბაღში ხლებდა (სამეც-

ნიერო მიზნით, რასაკვირველად, თორემ აბა პოლიტიკური პლატფორმა ხომ არ შეგვავრთებდა მე და შავრაზმელ რუსის ქალს!)...

დილის ათი საათი იყო და უახლოესი მატარებელი ოთხის ნახევარზე გადიოდა.

ფულის საქმე ერთ საათში მოვაგვარე: ღმერთმა უშველოს პატივცემულ პართენ გოთუას და შეუნდოს ყველა ის შეცოდება „ეშმაკის მათრახს“ რომ მის წინაშე მიუძღვის! თვალის დახამხამებაში განაღლებინა ჩემთვის ცენტრაბანკს ხუთი ათას თუმანიანი თამასუქი.

ხელად ჩავალაგე ჩემოდანში საგზაოთ საქირო ნივთები და პირველ საათზე საბილეთო კასის წინ ვიყავი ატუხული. მართალია, მატარებლის წასვლამდე ორ-საათ-ნახევარი რჩებოდა და კასის გაღება მდებ კი საათნახევარზე მეტი, მაგრამ ღროითვე სჯობდა გარჯა, რათა საქმე საექვოთ არ ყოფილიყო და ბილეთი დანამდვილებით შემოვინა.

რიგში პირველი მე ვიყავ, ზედ კასასთან ვიდებ და გული საგულეს მქონდა.

როგორც იყო გავიდა საათნახევარი და გალო კასის სარკმელი. ის იყო წინასწარვე დამზადებული ფული უნდა მიმეწოდებია კასირისათვის, მაგრამ, ვნახოთ, თოფიანმა დარაჯმა შემაჩერა და მეორე მხრიდან მომდგარი კაცი მიუშვა ჩემ მაგიერ.

მხოლოდ ეხლა შევამჩნიე, რომ იქ, მეორე მხრიდანაც სულ რაღაც ხუთ წუთში თითქმის იმ-სიგძელე კუდი გამართულიყო, როგორც აქედან: მოდიოდნენ, რაღაც ბარათებს უჩვენებდნენ წესრიგისათვის დაყენებულ დარაჯს და ესეც ჩემს გაშვებრილ ხელს გასწევდა და იმათ უთმობდა ადგილს.

ბარე ოცჯერ გავაშვირე ხელი და ოცივე ჯერ შემაჩერა დარაჯმა. ბოლოს რომ დავიღალე, თავი დავანებე ამ უნაყოფო ხელს შვერას და მორჩილათ დავიწყო ცდა.

აი, უკანასკნელმა ბარათიანმაც იყიდა ბილეთი. ეხლა კი დაუბრკოლებლივ შეგყავი ფულიანი ხელი კასის სარკმელში, მაგრამ კასირმა მომძახა — „НИ-ЛЕТОВЬ НѢТЪ“ — და დროზე რომ არ გამომეტაცებია შეყოფილი ხელი, უმკველაო წამაწყვეტდა მაჯაში, ისე მოსხლეტით დაუშვა სარკმელის დარაბი.

ქეშმარიტად, არასოდეს არ ასრულებულა ასე ზედმიწევნით ქრისტეს სიტყვები — პირველნი იყვნენ უკანასკნელ და უკანასკნელნი პირველნი: მე და ჩემთან ორასიოდე კაცი, ვინ იცის, როდის მოსულეები, პირში ჩალა გამოვლებულნი დავრჩით და იმ ჯადო-ბარათიანებმა კი რამდონიმე წუთში მოაგვარეს საქმე!

რაღა გზა მქონდა! უნდა შემდეგი მატარებლისათვის მეცადა, მაგრამ მაშინ კი ვიშოვიდი ბილეთს?

ჩემდა ზედათ, ერთს მოგზაურს, რაღაცნაირად ზედმეტი ბილეთი აღმოაჩინდა მცხეთამდე და ამან მიხსნა. მცხეთამდე ხომ მივალ და იქ ავიდებ რო-

გორზე ბილეთს-მეთქი, გადავწყვიტე გულში დამატარებელში ჩავჯექი.

მცხეთას რომ მივუახლოვდით, აღრგვე შიგ ვაგონის კარებში მოვახიზნე გაჩერება, რომ აღრითვე ჩავსულიყავი და ბილეთის აღება მომესწრო.

ასეც მოგიქეცი და დაუბირდაპირდა თუარა მატარებელი მცხეთის სადგურს, საჩქაროთ ჩამოვედი ბაქანზე და საბილეთო კასისკინ გავეშურე.

— უკაცრავათ, ბატონო! შეჩერდით, თუ შეიძლებოდეს!— მომესმა უკანიდან და გილამაც ხელი დამადო მხარზე.

მოგტრიალდი. ჩემ წინ რკინისგზის მილიციონერი იდგა.

— ინებეთ ჩემთან წამოსვლა!— მიმართა მან.

— სადა? რისთვის? გაკვირვებით გკითხე მე.

— თქვენ მაჩარებლის გაჩერებამდე ჩამოხვედით ვაგონიდან... ამისთვის ჯარიმა უნდა დადიხანდოთ. ხომ მოგხსენიბათ, რკინის გზაზე სამხედრო წესებისა გამოცხადებული.

— მე ეს არ ვიცოდი და თუ აუკლობელია, მოგართმევთ ჯარიმას. რამდენი გერგობათ? აჩქარებით ვკითხე მე რადგან მეშინოდა, რომ ბილეთის აღებას ვერ მოვასწრებდი.

— ეგრე არ იქნება, ბატონო! ოქმი უნდა შევადგინოთ და კვირანია მოვცეთ.

— გათხოვთ, დიხანს ნუ გამაჩრებთ ძალიან მერქარება, ცოლი მყავს ძლიერ ავად და ბილეთის აღება უნდა მომასწრო— დიხანს მე და გაყვანი, რაკი ნათლად ისედავდი რომ სხვა გზა არ იყო.

ოქმი რომ შეადგინეს და ათასი თუმანი ჯარიმა გადასახდელინეს, მესამე ზარი გაისმა. სასწრაფოთ გამოვიქეცი და კიბეზე ავბრბი.

ის იყო ვაგონში უნდა შეგსულიყავი, რომ უცებ გილამაც ფეხებში დამიღოო ხელი და გამაჩრა, რომ მოტრიალდი, იგივე მილიციონერი დაიხანხე, ფეხებში შეკიდებოდა და დაძრულ მატარებლს მისდევდა.

— რა გნებაეთ?— აშფოთებით დაგყვირე მე.

— თქვენ მესამე ზარს შემდეგ შეხვედით კიბეზე. უნდა ოქმი შევიდგინოთ და ჯარიმა გადაგახდევინოთ!

— როგორ ჰხედავთ! გამიშვით ეხლავე! გაბრაზებით ვყვიროდი მე, მაგრამ მილიციონერი არ შევებოდა, უფრო მაგრათ მიჭერდა ხელს; ქვეთ მიმართედა და მატარებელთან ერთად თითონაც უმატებდა ნაბიჯს.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩვენი ჭიდილი. დაახლოებით, ასე, მეოთხე ვერსზე სადგურიდან მილიციონერმა მძლია, მე ყარამალა წამოვედი საფეხურიდან, დავეხეთქე მიწაზე და გული შემიღონდა.

გონს რომ მოვედი და თვალი გავახილე, ისევ მცხეთის სადგურზე ვიყავი, იმავე ოთახში მივეტა-

ნეთ, სადაც ოქმი შემიდგინეს და ჩემს გამობრუნებას უცდიდენ ახალი ოქმის შესადგენათ.

თავუნა.

(დასასრული იქნება)

### „შ გ ე ბ უ ლ ე ბ ა“

— ქეთო! დაიუ ტებე ჩესნოე სლოვო, ჩტო, ია ტუტ ნი პრიჩომ... ხომ იცი მისი ამბავი, ამეკვიტა ქალო და აღარ მომშორდა... სამჯერ დავაბრე გაქცევა, მაგრამ... ნე უდობნო ბილო...

— უნდა იცოდე ჩემო ბატონო, რომ მე სამსახურის ქალი ვახლავარ, შენი გულისთვის უფროსი მოვატყუილე, ავადმყოფობა მოვიგონე და წამოვდი, მაგრამ რას ვხედავ: მთელი სამი საათი ვიდექი იქ და არ მოხვედი, შერე სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ შენ მასთან ქართულ კლუბში წაბრძანებულხარ და მე კი წყნეთის ქუჩაზე მალოდინებ... ია ტაკ რახაზლილას, ჩტო ცელი ნოჩ ნე მაგლა უსნუა... კიდევ კარგი, რომ იმ გულზე არ შემხვდი, თორემ ბოლ ზნაეტ ჩემ ზაკონჩილასბი ეტა ისტორია...

ვინაა? მესამე გვიშლის ვალეცა ტელეფონში...

— ნე მეშაიტე ბოგა რადი, ია გავარიუ პადელამ სლუეები...

ნუ თუ არ უნდა მაპატიო? შენ მართალია ნაწყენი ხარ, მაგრამ არც მე ვარ დიდათ ნასიამონგბი... იცი რას გეტყვი? მოდი, როგორმე შოაწყვე და ორი კვირით შეგებულება აიღე...

— რა ავილო?

— შეგებულება!...

— ნე პანიმაიუ ჩტო ტი ხოჩეშ სკაზატ...

— ოტბუსკ ნა დეე ნედელი...

— აა... ეს კარგია, მაგრამ...

— კარგი ყარა კარზე მეტია... მე ამ ცოტა ხანში კოჯორში წავალ ერთი თვით დასასვენებლად, უმენია ტამ ვსიო ესტ, შენც ამოხვალ და ვქენებით ერთად...

— კარგი, მაგრამ, ბოზაკონუ მნე ოტბუსკ ნე პალაგაეტსა, ია იშიო ნე პრასლუეილა შესტ მესიაცეგ...

— მაგის წამალს მე გასწავლი. წადი ჩვენს ლახარეთში, ეჩვენე ექიმს და სთხოვე დაგინიშნონ კამისია...

— როგორ?.. ვედ ია სავერშენო ზღაროვა, ნიჩევი ნე ბალატ...

— ქალო, ნე ბალიტ რომელია, მიდი ექთან და უთხარი ავად ხარ... სკაყი ჩტო ტი პანაჩამ პატეშ, ნ სპიშ, აპეტიტა სავსემ ნეტ, უტრომ კაგდა ვსტაიოშ ვალაია კრუეტსა, თვალთ გბნელდება. ხშირად სუსტდები, უბოლო რამეზე ჯავრი მოვდის, ბრახდები და სხვა, დაგნიშნავენ კამისიას და არა თუ ორი, შეიძლება სამიკვირითაც



საგანგებო გასართობები.



„რა იხილეს ხატვა მისი, ჭვრეტად მხეცნი მოვიდიან;  
 მისვე ხატვის ტრფობისაგან ხით ფოთოლნიც ჩამოსხდიან.  
 იჭვრეტდიან, გაპკვირდიან, რა ასტირდის ასტირდიან...  
 ხატას „გულთა განგმირულთა“ ღვარისაებრ ცრემლი სდიან...“

კი გაგანთავისუფლონ. ჩვენი ბარიშნები ასე არ  
 შვებნიან ყველანი? შენ ვითომ სხვაზე ნაკლები  
 რითა ხარ?

— კტო-ტო აბიატ მეშაეტ...

— ნე მეშაიტე რადი საზდატელია, ია გაგა-  
 რიუ პადელამ სლუები.

— კი მარა მე, რომ არც ერთ ექიმს არ ვიც-  
 ნობ, როგორ მოვიქცე?

— ეგეტ ადვილია, მოდი ამაღამ ქართულ  
 კლუბში და მე გაგაცნობ ყველას, იქ იქნებიან  
 უსათუოდ თავიანთ „სესტრებითა“...

— მაშ კარგი მოვალ უსათუოდ...

— ნე მეშაიტე... ბატონო მე აქ საქმეზე ვლა-  
 პარაკობ და თქვენ კი მიშლით... ქეთო... ქეთო!  
 ტი უშლა? პერებილი...

— პერებილი, რომელია კაცო, ამდენ ხანს  
 რითვერ გაათავე ლაპარაკი, ტყლეფონში არშიყოზა  
 გაგონილა?

კტო გავარიტ?

— კოლია...

— აა... შენა ხარ კოლია? არშიყოზა კიარა  
 კაცო, საქმეზე ვლაპარაკობდი, ჩემო ძმაო, თვი-  
 თეული წვრიმალი თუ არ აუხსენი ისე ვერას აკე-  
 თებენ მეტადრე ჩვენი ქილები... შეპყარეს კანცე-  
 ლარიებში ვინც არგინდა და უბრალო სიტყვა  
 შვებულება რაარის ისიც კი არ იციან მოდი შენ  
 ახლა და სერიოზული საქმე შიანდე გასაკეთებლად...

— მაგაზედ შედეგ ვილაპარაკოთ, შენ ერთი  
 ეს მითხარი ამაღამ მოხვალ იქა? ანა ჟდიოტ ნას...  
 ისიც ჩამოვიდა შენ რომ იცი...

— ნუუ მართლა? მოვალ მაგრამ ცოტა შემა-  
გვიანდება... დღეს ძალიან დავიდალე ბევრი მუშა-  
ობით და საღამოს მინდა ცოტა შევისვენო...

— მაშ მოგელოდები, უსათუოდ...

— გეუბნებ, მოვალ ხოლო ცოტა გვიან...

— პაქა...

— ვსევო...

ესეც ასე, ჯერ კლუბში წავალ ქეთოს ვნა-  
ხავ, ექიმებს გავაცნობ... შერევი ნაღისთან...

ჩამოსულა... ვინ იცის როგორი ჩასუქებულია...  
ოჰ, ნადია, ნადია, რა გოგონა ხარ... აღვილსაც  
მთხოვს... უნდა მოუწყო, რამე, მაგრამ ქართული  
რომ არ იცის კარგად? ნუ, ნეჩევიო... საიდიოტ...  
შე კი ბევრი ვიცოდი, რომ ასეთი აღვილი და  
თანამდებობა გავიკარი?!

რ. ჯიბილი.


## შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ა .

(დასასრული.)

იგი ღამე უბედური პახომს ქუჩად ჩაეძინა,  
ქვრივთან მისვლა ვერ გაჰბედა, ერთობ იწრო ჰქონდა ბინა,  
კლუბებიდან მოესმოდა ღრიანცელი, ვითა გრგვინა:  
მდიდრებსა და ბედნიერებს შვა ღამემდე მოელსინა.

დილით ადგა უძინარი, გააღვიძა ძაღლმა ორმა.

სთქვა:— მოვნახავ მიწის მინისტრს, იქნებ მომცეს ერთი ნორმა,  
ვითხოვ სახნავსა და საძოვარს იბალახოს ცხვარმა, დორმა  
იმავე სადგურს მიაშურა, ვერ შეაკრთო გზამა შორმა.




ნახა სტოლი, სტოლთა მეფე, ერთ ნორმაზე უფრო ვრცელი  
იმა მხრიდან კაცი ეჯდა; ჰკითხა: ვინ ხარ? რა სოფლელი?  
აქ მე ვერას გამოვარკვევ, მიღი ნახე ჩადუნელი,  
იმა ყმაწვილს აბარია აქ საფონდო მინდორ ველი.




პახომ გარე გამობრუნდა ჩადუნელის სანახავად  
 მაგრამ კვალი აერია და წავიდა საქმე ავალ.  
 იქ შევიდა, სადა სხედან ხალხნი ტყეთა დასაცავად  
 შეუბღვირეს. უკუიქცა იმა ნორმის უკითხავად.



დაგვიღონდა პახომ ძლიერ, სევდამ სრულად დაიშონა  
 დარბის აღმა, დარბის დაღმა, მაგრამ ვერა ვერ იღონა,  
 მისი აჯა ვედრებანი მუნ არავინ არ იგონა  
 კრემლები და ოფლი ჰღვარა მდინართა და ზღვათა წონა.  
 საშინაო სამინისტროს მისდგა კარებს განამწარი.  
 ჰხედავს სხედან მოხელენი ძნელ საქმეზე მწყობრათ მსხდარი  
 გაუშლიათ ვაზეთები, „კომუნისტთა“ მთელი ჯარი...  
 პაზაობენ და ჰკითხულობენ, მათ ოფლისა დასდით ღვარი.



პახომ უკუ წამოვიდა; მისთვის არც არცაა.  
 გზაში მუხლი მოეკეცა, ფეხებისა შეკრთა ძალა.  
 მან სამხედრო სამინისტროს განიზრახა გზადა გავლა  
 შეხედა და გამობრუნდა, შარვალით აგან ეცა დაფლა.



მიატოვა იგი სახლი და გაიქრა პახომ განსა  
 საფინანსო სამინისტრო გადასწყვეტსო ამ საგანსა.  
 მივიდა და ნახა ნახვა, ენა ვერ იქმს გასაქანსა  
 ოთხი კაცი ერთ ოთახში სტოლს ახდენდა ბარაბანსა.




პახომ იტყვის გულ მოკლული:—ჯოჯობეთი თუა ტოლი,  
 რაც შე ტანჯვა განვიცადე და გულს სევდა მონაწოლი.  
 მოდი ერთი ვინახულო რესპუბლიკის შე კანტროლი.  
 მივიდა და ნახა, მაგრამ უკუიქცა შენაკრთოლი



სირცხვილი და გაჭივრება ერთსა ერთი დემატა  
 პახომ დარღმა დაანელა, დაეკარვა ყოვლის მალა.  
 სთქვა:—სამართლის მინისტრს ვნახე და ვუჩივლებ ყველა მათა  
 ამ განზრახვით, უბედური, სამართლისთვის გაემართა.  
 ნახა კაცი მოსულიყო, ჰგავდა იყო მომჩივანი,  
 თან ბალიში მოეტანა, არრა უჩნდა მას მტკივანი.  
 გაიკითხა და გაიგო, „აქ უნდაო დიდი ხანი“...  
 პახომ ვნახე შენაშფოთი და შიშისგან ანატანი.





სამსჯავროდან გაქცეული ეშმაკისკენ გაეშურა.  
 ოფლი ღვართ დასდიოდა, ცრემლი ცრემლად მოეწურა.  
 სთხოვა:—დაძხვებ, ამ სატანჯველს, გამინელე ტანჯვა, ურვა.  
 გამაშორე ამა საქმეს, ჯოჯოხეთი მომესურვა.

ეშმაკმა ის დაამშვიდა და ჩაიკრა გულში შვილად.  
 უთხრა: ახლა, მეგობარო, გიცნობ ტანჯვა ვარდახდილად  
 მეუფესთან დაგაბრუნებ, ის შეგხვდება გულ კეთილად  
 ცოდვა ყველა გებატიოს და სამოთხე გერგოს წილად.

### უსტარი ეშმაკისადმი

### ცოლი თუ უცოლობა.

(ფიქრები საკანდიტაროში.)

ძღვნათ ტ-შას და ლ-იას.

ბატონო ეშმაკო გთხოვ დამიგდო ყური:  
 გაკირდა ცხოვრება ძვირობს მეტად პური,  
 მიხსენ განსაცდლისგან მიყავ საქმე ძმური  
 სადმე მომიხერხე ბინა, სამსახური,  
 სულით, გულით მინდა გავხდე კომისარი,  
 რომ ჩარჩ-სბეკულიანტს გამოვწურო „ძქარი“  
 მომეშველე აქა, დამიჭირე მხარი.  
 მსურს წლის ბოლოს გავხდე კაკოს თანაბარი.  
 არც შენ დაგიფიწყებ, მოგცემ ნახევარსა  
 (ჯამაგირს კიარა შენაძენ ქანქარსა)  
 ეტლით დაგატარებ ამ ჩვენ მთა და ბარსა  
 (ეტლი მეყოლებო როგორც კომისარსა)  
 ოღონდ შემისრულე ძმავ ეს სათხოვარი  
 არ გამომჭრა ყელი და არ მითხრა ვარი,  
 ყოველ დღე შევქაშოთ თითომ თითო ცხვარი.  
 ოხ რა გულით მინდა ვიყო კომისარი  
 სახარჯავთ მქონდეს ბლომათ შე ქანქარი  
 ჩინით და „პოგონით“ დამიმშვენდეს მხარი  
 ღმერთო ჯერ ნუ მომკლავ ამას მომასწარი  
 რომ ამბობდნენ ჩემზე:—„ჩვენი კომისარი“!

გ. ბთმბოთელი.

გულჩვილი და სანტიმეტალი კაცი არა ვარ. ჩემს  
 სიცოცხლეში ერთხელაც არ მიტირია (გარდა და-  
 ბადებისა) მაგრამ როცა „ეშმაკის მათრახის“ № 37  
 ლიუტერის უცოლოებისადმი მიმართული სიტყვები  
 წავიკითხე, ცრემლები ველარ შევიკავე. ჩამოვეყრ-  
 დნე ხელებს და ფიქრებს მივეცი თავი. ჩემი გო-  
 ნების თვალთა წინ ელვის სისწრაფით გაირბინა  
 მუელმა ჩემმა ცხოვრებამ, ნაფიქრნაზარევემა, ნა-  
 ხულმა. ლიუტერის სიტყვებმა ათასგვარი აზრები  
 და კითხვები გამოიწვიეს ჩემში. ყოველ კითხვას,  
 უბრალო სიტყვასაც კი პასუხს აძლევდა ჩემი ში-  
 ნაგანი მე, როგორც გაორებულიყო. ჩემი „მეს“  
 გაორება, ერთმანეთში ბრძოლა ბოროტისა და კე-  
 თილ ომერთების ბრძოლას მომაგონებდა, თუქცა  
 ძალიან გამიჭირდა გამომერკვია ჩემი „მეს.“ რო-  
 მელი ნახევარი იყო კეთილი.

12 წელი ვსწავლობდი ქუთაისის ქართულ გიმ-  
 ნაზიაში და, ქებით არ ვიტყვი, ცუდათ არ ვსწავ-  
 ლობდი. განსაკუთრებით ისტორია მიყვარდა და  
 ყოველთვის გულდასმით უსმენდი ისტორიის მას-

წავლებლებს; ალ. ვარსევანიშვილს, დი. უზნაძეს, მეტი კობახიძეს, ალ. წერეთელს.

მახსოვს ამ უკანასკნელმა მთელი საში ლექცია წავგიკითხა ლიუტერის შესახებ. სიტყვა სიტყვით ვიგონებ ყველა მის ნათქვამს მაგრამ ლიუტერის იმ სიტყვებზე, რომელიც „ეშმაკის მათრახმა“ მოყვანა, ალ. წერეთელს კრინტიც არ დაუძრავს.

— ჰქონია „მყუდრო ოჯახი“ და იმიტომ ვერ მოიგონა ვე სიტყვებია—უბასუხა ჩემს აზრს „მეს“ იმ ნაწილმა, რომელსაც მე ბოროტი დასაწყისი ვუწოდებ.

მაგრამ ბოროტ „მეს“ ყურადღება არ მივაქციე და ჩემი ფიქრთა სვლა განვაგძე.

ღმერთო ჩემო! ეს სიტყვები, რომ აღრე გსმენოდა? შეიძლება ახლა ცოლშვილიანი ვყოფილიყავი, მყუდრო ოჯახი მქონებოდა; იმ რესტორანების მაგიერ, რომელმაც კუჭიც ამიშალა და ჯიბეში სრული დეზარგანიზაცია შეიტანა, შინ, ოჯახში მესადილა. პატარა ბავშვები გარს შემომგხვეოდნენ, ცოლის აღერსი.

ო, ლიუტერ! შენ წმინდანი იყავი, როცა სთქვი: „ძვირფასო ახალგაზდებო! შეირთეთ ცოლები, დაქორწილდით! იცით რა მოსდევს ამას?“

— ვიცი, ვიცი—წამოიძახა ბოროტმა „მემ.“ გამოცდილებით ვიცი...

**„მყუდრო ოჯახი!“**

ხომ გახსოვს რა მყუდრო ოჯახი გქონდა — განაგძობდა ბოროტი „მე“ ჩემდამი თქმას— ხა, ხა, ხა! რა „მყუდრო“ ოჯახი! ხა, ხა, ხა!

და ბოროტმა „მემ“ ისე გადაიხარხარა, რომ ერთი საათის განმავლობაში აგებული ოცნების კოშკი ერთ წამს დაინგრა.

კეთილი „მე“ ისევ შეეცადა ჩემი გულის აჩუყებას: მოსიყვარულე და ნაზი...

— სიდედრი! გააწყვეტია ბოროტმა „მემ“ სიტყვა კეთილ „მეს“ და თუმცა ვიცოდი, რომ ლიუტერმა „მოსიყვარულე და ნაზი ცოლი“ სთქვა და არა სიდედრი, მაგრამ ამ სიტყვამ ისეთი გავლენა იქონია ჩემზე, როგორც მძანარეზე ცივმა წყალმა.

ჩემს ფიქრთა მსვლელობაში სწრაფი გადატეხა მოხდა. ცისფერი ოცნებები გაქრა და განვლილმა სინამდვილემ დაიჭირა მთი ადგილი. როცა წასულთა „სიამოვნებათა“ განცოცხება თვალ წინ ჩამიქროლა მწარეთ ამოვიხვნეშე.

— არა მამაო ლიუტერ! თქვენ მართალი არ ხართ! მე გამოცდილებით ვიცი! ორჯერ შევირთე ქალი: ერთხელ „ქანონიერთა“, ე. ი. ეკლესიური, ქრისტიანული წესით და ერთხელაც „უკანონოთა“, ე. ი. სამოქალაქო წესით. მაგრამ ვერც ერთხელ მყუდრო ოჯახი ვერ შევქმენი. არ ვიცი როგორაა საქმე თქვენ ში, გერმანიაში, ხოლო აქ, საქართველოში მყუდრო ოჯახი არ არსებობს.

კარგია ლამაზი ცოლი, მაგრამ მაშინ როცა ის... სხვისია. სხვას მიმართეთ მამაო ლიუტერ მაგ სიტყვებით. დე მათ გამოსცადონ, ვისაც არ გამოუცდია და სხვისი გამოცდილება არ სჯერა. დიახ! მე კი ორი მეყოფა, ბევრი გიანხელით, მეტი აღარ მინდა!

ისე გამიტაცა ჩემმა ფიქრებმა, რომ ეს უკანასკნელი ფრაზა საკმაო ხმა მაღლათ ვთქვი და რადგან იმჟამათ ივ. მეგლადის საკანდიტეროში, ვიჯექ, ივანემ თვის თავზე მიიღო.

— ყმაწვილო, როგორ არ გინდა! ჯერ არაფერი მოგითხოვია!

— როგორ არა, ბ. ივანე! ორჯერ, ორჯერ. საეკლესიოთი და სამოქალაქოთი...

— ერთი სეფისკვერი 50 მან. ერთი ბულკიც 50 მან. ჩაი... ჩაიანგარიშა ივანემ. გადაიხადეთ 350 მან. თუ კი სქამეთ მომმართა მე ანგარიშის გათავებისას.

— მე არაფერი არ მიჭამია ბ. ივანე!

— ახლა არ თქვი ორიო.

— ცოლი, ბ. ივანე, ორი ცოლი შევირთე!

აა სიტყვებზე ივანემ პირჯარი გადაიწერა, ხოლო კობტა თამრომ, პატარა თამარამ, ლოლამ სხვა „ქელერებმა“ და სტუმრებმაც ისეთი სიცილი ასტეხეს რომ სირცხვილით კოცებამდე გავწითლდი. და საჩქაროთ გავიქეცი საკანდიტროდან. საერთო სიცილში მხოლოდ ივანეს სიტყვები მომესმა:

— რა კარგი ყმაწვილი იყო! რა დაემართა, ნეტავ რაზე შეიშალა!..

გალსტუკი რიგზე მქონდა, შარვალი და სამოთხის კარები დახურული. რაზე იცინოდნენ ჯერაც ვერ გამიგია.

**გრ. სლუჩინი.**

P. S. ბ. ბ. ეშმაკო და თავუნა! მე თქვენ უანგარობაში ექვი არასდროს არ შემდიოდა, მაგრამ „ეშმაკის მათრახის“ № 37 ძალიან დამაფიქრა. მთელი ნომერი სავსეა ცოლის შერთვისათვის სააგიტაციო წერილებით მე, ნებას არ მივცემ ჩემ თავს ვიფიქრო, რომ თქვენ გაუთხოვარ ქალებმა (რომელთა რიცხვი მეტათ გამრავლდა) მოგიყიდეს. არა. ამას ვხსნი ორგვართ: ან თქვენ შეგეცოდათ გაუთხოვარი ქალები, ანდა შეგშურსთ უცოლო ყმაწვილების თავისუფლება, და რადგან თქვენ ორივე ცოლიანები ხართ, ერთ ტაფაში იწვიოთ, გადასწყვეტეთ გასწიოთ ცოლიანების სასარგებლოთ აგიტაცია: იქნება გამოჩნდეს ვინმე ბრიყვი და შეირთოს ცოლიო.

ყოველ შემთხვევაში იმედი, მაქვს, რომ ნებას მომცემთ უცოლოთა პარტიის სახელით ცოლის შეოთვის საწინააღმდეგო ბრძოლა მეც ვაწარმოო.

**გრ. სლ—ინი.**

# ბათუმის ვირთხები.



**ვირთხა პისკულიანტი.** ეჰ, ამხანაგო, ეს ნამდვილი სამოთხე იყო, არც მეტი, არც ნაკლები! მარტო მარინეს პროსპექტი რათ ღირდა! ღმერთო ჩემო, რამდენი ვიყავით იქ ჩვენ ვირთხა პისკულიანტები და რა საქმეებს არ ვაქაზრავდით. სამოთხე იყო მაშ რა ჯანაბა!..

**ნამდვილი ვირთხა.** გამაგებინეთ თქვენი ღვთის გულისათვის რაშია საქმე? საკუთარ თვალსა და საკუთარ ყურს ვეღარ ვუჯერი. სიზმარში ვარ თუ ცხადში? თქვენ ვირთხა პისკულიანტებს გდევნიან, ეს გასაგებია, თქვენ ზეზე დაღიხართ, მზის სინათლეზე სცხოვრობთ... ახლა რასაკვირველია გეწყინათ და ვაგიჟირდებათ სოროებში შეძრომა, მაგრამ ჩვენ, ჩვენ ჩვეულებრივ ვირთხებს რა დანაშაული მიგვიძღვის, ჩვენ რას გვეჩიან!.. ჩვენი უთამამაველობა უხსოვარი როდიდან სანიტარულ მოვალეობას ასრულებდა; მერმე სამუშაო რამდენი ჰქონდა, ბაზარშიაც, პორტშიაც... ეჰ, აცხონოს ღმერთმა, კარგი კაცი იყო გენერალი კოკ-კოლიისი თქვენც განვიფრებული ჰყავდით და ჩვენც ცხოვრებას არ გვიშლიდა. ღმერთო ჩემო, როგორ წახდა დრო! რა გინდა ქუჩაში რომ არ იყო: მშენიერი აყროლებული ნაგვის გროვები, მკვდარი ძაღლები და კატები, ათასგვარი სხვა გასართობები და განა მარტო ქუჩებში, ეზოებში და სახლებში! ახლა კი! წესებია ესეც რაღა! საიდან ჩამოეჩხირა ეს ხმელ-ხმელი წვერიანი კაცი! კამისარს ეძახიან ამასაც რაღა! დამჯდარიყო თავისთვის სახლში, ვინ რას ერჩოდა? არა, ყველგან უნდა ჩეჩხიროს, ყველგან წაჰყოს თავისი ცხვირი! სწორეთ მოგვაბეზრა თავი! ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი, მოსვენებას არ გვაძლევს არც დღითი და არც ღამით. ჯერ თქვენ მოგდგა მეგობარო და რაკი საქმე გამოელია ახლა ჩვენზე მოიცილა. ჩვენ საწყალ ხალხს რა დაგვიშავებია! მერმე დემოკრატიულ მოხელეთ მოაქვს თავი! კარგი დემოკრატიობაა თქვენმა მზემ, საწყალ ხალხს სული ამოჰხალო!

მოუგროვებით ვიდაც თავზე ხელ აღებული ყაჩაღები, დადიან ეზო-ეზო და ჩვენს სინსილას სპობენ. ერთად ერთი ნუგეში-ლა დაგვრჩენია!

**ვირთხა პისკულიანტი.** რა ნუგეში, მეგობარო?

**ნამდვილი ვირთხა.** უნდა ავიბარგოთ აქედან და გადავსახლდეთ. ვატყობ ამ ბურჯუაზიულ რესპუბლიკაში პატროსან ხალხს აღარ ეცხოვრება. მოეუყრი თავს ჩემს გვარეულობას და ვაფუკრავ საბჭოთა რუსეთისაკენ. აქ ნავთსადგურში ორი გემი სდგას ნოვოროსიიდან, მაინც ცარიელები წაელენ, ჩაფასხდებით და წავალთ.

**ვირთხა პისკულიანტი.** იქ რაღა ხერს ნახავ, მეგობარო!

**ნამდვილი ვირთხა.** ნამდვილი სამოთხეა! იქ სულ სხვა წესებია! ფეხისადგილები იქ დერეფანსა და ფანჯრებში აქვთ გადმოტანილი... ქუჩებში ნულარ იკითხავ: ჩიტის რძე აკლია, სხვა ყველაფერია. მთელი წლობით აგროვებენ ჩვენთვის სანოვავეს. ერთი ვირთხა ჩამოჰყვა ამ წინაზე გემს, იმან გადმომცა: ახლა საბჭოთა რუსეთში ცხოვრებას აღარაფერი სჯობია, ნამდვილი ვირთხების „სოციალიზმი“ გამეფებულიო.“ აქ კი ვილაც ბენია არის, თუ გენია ჩვენი დევნის მეტს აღარაფერს აკეთებს, ნეტავ ამდენი სამსახური მაინც არ მიგვიძლოდეს! მოიხსენოს უფალმა გენერალი კუკ-კოლლისი, მისი დრო წაუშლელი დარჩება ჩემს მესხიერებაში. (ეზოში ხმაურობა გაისმა)—უთუოდ მოდიან, აბა თავს ვუშველოთ... (ვირთხები იმალებიან!

### ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი .



- რამ დავაღონა უტუია, რა დაგემართა?
- ცხენი მომპარეს, ძმაო, ცხენი!
- შერე? არ იცი სად იპოვი ქურდს?
- აბა რა ვიცი შენი ჭირიმე.
- მიდი ჩემო ძმაო კომუნისტების ბიუროში ყველანი იქ არიან.

# ს ი ზ მ ა რ ი .

ენახე სიზმარი, სიცხადის გვარი  
 აღბათ ნაყოფი, ჩემი სამყოფი  
 ბრძოლის ველისა,  
 მთებისა ძირად, ლიხავის პირად,  
 გაშლილ მინდორზედ მწვანე და სწორზედ  
 აბჯართა კრება,  
 რაში თოფების, ხიშტ-ქვეშ მყოფების,  
 ხმალი, ლახვარი, ცხენზე სახმარი,  
 ანუ ჯირბთი,  
 სამხედრო ქორი „ბლერიოს“ ჯიშის  
 თვით სიამაყე მტრის მგვრელი შიშის  
 ციური რისხვა.  
 მცურავი ძალა სამხედრო სახით  
 „ტარიელ“ მოძმით „პატარა კახით“  
 მოსრიალები,  
 მოძრავი ციხე ჯავშანთა „გლეხი“  
 და „პროლეტარი“ საველე მენი  
 ზარბაზნებიანთ,  
 რკინის გზის გმირი ზარბაზან ხშირი  
 ჯავშანთა ზღუდე გმირების ბუდე  
 ნომერ პირველი  
 ზატარეია სხვა და სხვა ზომის  
 წინ „გაუბიცი“ ბელადი ომის  
 „უკან მორტირი“  
 სამთო საველე ჩამწყვირებული  
 „ლუის“ „მაქსიმა“ „კოლტის“ კრებული  
 მათ ამშვენებდენ.  
 და ეს საგნები თუჯის და რკინის,  
 ვითა ნაცადი ქირის და ლხინის  
 სიტყვას ამზობდენ.  
 მცირე თათბირის შედეგათ გარედ,  
 „მორტირი“ დასვეს შიგ თავჯდომარედ  
 ამა კრებისა,  
 კრების მიზანი და მოხსენება:  
 ვის უნდა ღართოს მეჯლიშმა ნება?  
 „გაუბიცი“ ერგო  
 წარსდგა მორტირი, მძიმე და დინჯი,  
 კრებას მოაფლო თვალი სასინჯი  
 და განაცხადა:  
 „ნდობის მადლობას გადაგიხდითო  
 სიტყვას ვადა აქვს, თქვენით მიხვდითო  
 დაბოლოვება.  
 აზრი მკაფიო, მოკლე სწორეთო,  
 მეტი სიტყვები მოიშორეთო  
 ფრაზებიანი.  
 მომხსენებელი ამ დეკრეტიითო  
 დროთ ისარგებლებს ორჯერ მეტიითო  
 საერთო წესით.  
 კრება გახსნილად გამოაცხადა  
 ორმოცი წუთი ეძლევა ვადა  
 ორატორებსო,

სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელსო  
 აქ ზარბაზნების უფროს „მხლებელსო“  
 „გაუბიცი“ წარსდგა  
 „ამხანაგებო და მეომრებო  
 დაუშვრეტელო ცეცხლისა მთებო  
 (წარმოსთქვა მძიმედ  
 გვიან და მკაცრად გაუბიციურა)  
 მისმა სიტყვებმა ყველგან მისცურა  
 მსმენელთა გულში  
 (დაბრკოლებები გაანადგურა  
 მსმენელთა აზრში დაისადგურა)  
 განუშორებლად.  
 განვლილი ბრძოლის სთქვა ანგარიში  
 არც დამრცხება და არცა შიში  
 ჩვენ არვიციითო,  
 რაც გამარჯვება ვიხილეთ დღესო  
 თანხმობით, შრომით, შეეკმენით ესო,  
 ზედ დაუმატა.  
 და გადახედა ზოგ ინტრიგანებს  
 ერთგულს თუ ორგულს პატარა ძმანებს  
 ვით თავგებს კატამ.  
 რა ვათავა მან მოხსენება,  
 სხვა ორატორებს მიეცა ნება  
 სიტყვების თქმისა;  
 ადგა ჯირითი, ვალესა ენა...  
 ზოგი ხიშტებიც ამოიყენა  
 თავის გარშემო,  
 სულ ზარბაზნები ბატონობდაო  
 ჩვენ უფლებებსაც აღარ სცნობდაო  
 ბატარეია,  
 ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ვალიო  
 რაც წახლა არის მათი ბრალიო,  
 ზარბაზნებისო.  
 კვლავ ბრალდებები პირადი, მწარე  
 მარა „მორტირმა“, ვით თავმჯდომარემ  
 ის შეაჩერა.  
 სიტყვა ხმაოს ერგო რიგით და წესით,  
 წინ გაეხასრა პირი მას ლესვით  
 მარმალისლოზედ,  
 სამთო ზარბაზანს ეკვეთა მესად  
 ზედ დაეჯახა შვა გასაჩხვად  
 საბრალო ხმალი.  
 ხელის შემშლელი არავინ ეცა,  
 მარა კბილები გადაეკეცა,  
 დაჩლუნგდა კიდევ.  
 ჯირითმა ხმალმა, ვერ დააჩინა  
 გვერდზე იარა  
 ბრალდება მათი კრებამ აღარც  
 გაიზიარა.  
 მომხსენებელმა ბოლო სიტყვაში,  
 განმარტა რომა:  
 დაფასებაში არვის არგებსო  
 შფური და წყრომა.

ჩვენ ვმუშაობდით რამდენათ ხელი  
 შეგვიწყობდნენ დრომა.  
 თვით განირჩევა ბოროტისაგან  
 კეთილი შრომა.  
 მარა უცოდველს თუ ვინმეს ეძებთ  
 მოქმედებაში,  
 უქმია შრომა, ასეთს ვერ ნახავთ  
 ამ ჩვენ კრებაში  
 სულ სხვაა იმან ცოდვა შეგნებით  
 თუ ჩაიდინა,  
 ეჭვი არ არის მას მიუჩინოდ  
 თავისი ბინა.  
 მარა კეთება მინდობილ საქმის  
 მისი ბუნება,  
 ურო ძნელია ვინემ განხილვა,  
 ან დაწუნება.  
 წასულ შეცდომებს ნუ დაივიწყებთ,  
 მომავალია  
 დაგზავთ გეგმა შემდეგი ბრძოლის  
 გზა და კვალია“  
 ჩემ სამწუხაროდ მე ამდროს კიდევ  
 გამომეღვიძა  
 არვიცი კიდევ ნანას როს მიმღერს  
 ლიახვი ძიძა  
 ბუტუნა

## პატარა ფელეტონი

აღმაშფოთებელი ამბავი.

ამხანაგებო! პირველ ყოვლისა გთხოვთ ნუ აღელდებით. გთხოვთ ყველამ გულდამშვიდებით მოისმინოთ ეს აღმაშფოთებელი ამბავი.

სწორეთ გუშინ, სამშაბათ დილას კინალამ შეიმოსა ძაძებით მთელი საქართველო და კინალამ შეიმკო შავი არსიებით ჩვენი რესპუბლიკის გავრთები.

სწორეთ გუშინ, სამშაბათ დილით, ეგრეთ წოდებულ ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დერეფანში მკვდარი ნახეს ჩვენი ჟურნალის ერთი თანამშრომელთაგანი ამხ. ეშმაკი.

თქვენ უკვე დელავთ! აკი გთხოვთ ნუ აღელდებით მეთქი!

მყისვე (სამი საათი არც კი გასულა) გაჩნდა სასწრაფო დახმარების ეტლი და ეშმაკი მიხეილის საავადმყოფოსკენ გააქანეს.

ბედი მისი და თქვენი, რომ იმ დროს მეც რალაც ეშმაკად იქ აღმოვჩნდი და საავადმყოფოს გავაცანი მიცვალებულის გნაობა.

მთელი საავადმყოფო ფეხზე დადგა. მოიტანეს ათასგვარი მოსასულიერებელი წამალი და სულ მცირე ხნის შემდეგ ეშმაკმა თავისი ქუჩუნა თვალები, ჯერ მარჯვენა და მერე მარცხენა, გაახილა.

საერთო სიხარული და აღტაცება გამოიწვია ამ გარემოებამ. მეც მივარდი და საავადმყოფოს გამგეს ნიშნად დრო პატივისცემისა მაგრა ხელი ჩამოვართვი.

ეშმაკი თან და თან მოსულიერდა. მიმოიხედა ირგვლივ და გაკვირვებით იკითხა, თუ საიდან მოხვდა ამდენ პატიოსან საზოგადოებაში.

— შენ, მეგობარო, ცოცხალ-მკვდარი მოგიტანეს აქ ამ ორი საათის წინ. მივუგე მე.

— როგორ თუ ცოცხალ-მკვდარი?

— ცოცხალ-მკვდარი. სულს ვერ ითქვამდი. რამდენი ვიტყვით...

— ვერაფერი გამიგია...

— ცენტრო ბანკის დერეფანში გნახეს ბატონო გულ შეწუხებული. წარმოსთქვა სწრაფი დახმარების ფერშალმა.

— ნუ გამახსენებთ!... ნუ, ნუ, ნუ... შეპკვილა ეშმაკმა და მცირე ხნით კვლავ დაბნდა.

მაყურებელი ხალხი მალე წავიდ წამოვიდა ამ სასიხარულო ამბის გასავრცელებლათ, ხოლო მე, როგორც ჰირსუფალი დავრჩი ამხანაგთან, ვიდრე ის სრულიად არ გამოერკვეოდა და ამ საშიშარი შემთხვევის მიზეზს არ გამაგებინებდა.

ეს ბედნიერი წამიც მალე დამიდგა. ეშმაკი მომჯობინდა, ძალღონე მოიკრიფა, ფერზე მოვიდა. ჩემი შეხვედრა ძლიერ ესიამოვნა და ამ სამსახურისათვის ერთი თვით საავარაკოთ გაშვება აღმითქვა.

— აბა რას ამბობ, თუ ძმა ხარ! მე სასიამოვნოთ ისიც მეყოფა რომ გაცოცხლდი და ამ სოფლად მობრუნებულს გხედავ. მაგრამ თუ შაინცა და შაინც გინდა ჩემი სამსახური დამიფასო შითხარ რა იყო მიზეზი ამ უბედურებისა.

— ძლიერ მიჭირს, ჩემო კარგო, მაგრამ შენ შაინც უნდა გითხრა და ეშმაკმა დაიწყა:

— დღეს, სამშაბათ დილით ჩვეულებრივად რედაქციისკენ გავემგზავრე. ტრამვაის ვაგონს თითქმის მთელი საათი ველოდე. ბოლოს როგორც იქნა ვიშოვე ადგილი. ვაგონში რამოდენიმე ნაცნობი კაცი გამომიჩნდა და ერთი უცნობი მანდილოსანი. ჩვენი ვაგონი ჩვეულებრივის სიჩქარით და ჩხუბით გაემართა ჯერ პოეხანოვის ქუჩით, შემდეგ შეუხვია ვერის ხიდისაკენ, იქიდან ავიდით ვერის აღმართზე და გავჩერდით ზემელის აფთიაქის წინ...

აქ ეშმაკს ხმა აუკანკალდა და სახეზედ ფერი გაუქრა. ეტყობოდა უჭირდა ლაპარაკი, მაგრამ მოიკრიფა ძალღონე და განაგრძო.

— ზემელის აფთიაქთან საზოგადოთ ბევრი ხალხი ჩამოდის ვაგონიდან. ახლაც ასე მოხდა. ჩემს უკან რალაც ჩოჩქალი შეიქნა. დიაცის წვრილმა ხმამ ჰაერი გაჰკვეთა და ჩემს ყურს შეიკრკო. მე მყის მოვტრიალდი და დავინახე როგორის

ვატკაცური მოხერხებით უკუაგლო ვიდაცამ ახოვანმა რაინდმა დედაკაცი ვაგონის საფეხურიდან, ავიდა და დაჯდა.

— უზრდელი! სარგებლობს თავისი ღონით... გაბრაზებით ჩაილაპარაკა უკუგდებულმა მანდილოსანმა.

— გაეთრიე იქით! იყო რაინდის პასუხი. უნდა მოგახსენო, ჩემო მორიელო, რომ ლაპარაკი რუსულათ სწარმოებდა და სიტყვა სიტყვით ყველაფერს ვერ გადმოქცემ. ეს საჭიროც არ არის.

რაინდის მოქმედებამ ჩუმი, მაგრამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დამსწრეთა შორის. გაწბილებული მანდილოსანი კვლავ განაგრძობდა:

— უზრდელი ყოფილა, პირველი მე ვიყავი, გამომავლო და თითონ დაჯდა.

გამარჯვებული რაინდიც არ დარჩა ვალში მიუბრუნდა და...

აქ ეშმაკს კვლავ გული შეუწუხდა, მაგრამ ჩქარა მოვიდა გონს და განაგრძო:

— მიუბრუნდა დედაკაცს, ჩემო მორიელო და იცი რა?.. დედა შეაგინა... რუსულათ კი შეაგინა, მაგრამ მაინც დედა შეაგინა. მთელმა ვაგონმა გაიგონა მისი საზარელი სიტყვები. ყველანი აღშფოთდნენ. მეც რასაკვირველია.

— ნეტავ რა კაცი უნდა იყოს ასეთი უსიროცხვილო? ჩაილაპარაკა ერთმა ჩემმა მეზობელმა.

— როგორ არა სცხვენია ინტელიგენტ კაცს! შენიშნა მეორემ.

— ინტელიგენტი კი არა ხამია, დაუმატა მესამემ.

— ალბათ სპეკულიანტი იქნება დასძინა მეოთხემ.

უზრდელი კი ყოფილა! წარმოსთქვა მეხუთემ და ასე ბოლომდე. ყველამ გამოსთქვა თავისი აზრი.

მე, ჩემო მორიელო, ძლიერ ავღელდი, მაგრამ ხმა არ ამომიღია, ვფიქრობდი:

— ალბათ ახალ ჩამოსულია საკომუნისტო რუსეთიდან და ასე ადვილათ ვერ შეეჩვია ჩვენს კონტრრევოლუციონურ კილოს მითქი. მიუხედავად ამისა მაინც ძლიერ მომინდა მისი ვინაობის გაგება. ამ მიზნით აღარ ჩამოვხტი ვაგონიდან. წავედი. გავიარეთ რუსთაველის ქუჩა. გავედიტ დამფუძნებელი ქუჩაზე. იქიდან თავისუფლების მოედანზე. აქ ჩვენი რაინდი ჩამოხტა, მასთან მეც. გაუხვია ქარვასლის წინა ქვაფენილზე და იქიდან ჰუშკინის ქუჩა გიდასერა. მეც რასაკვირველია თან მივყვები, როგორც აჩრდილი. რაინდი შევიდა იმ დიდ კარებში, რომელსაც აწერია: „რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი“ და აუყვა კიბეს. მეორე სართულში მიუხვია მარცხნივ და შევიდა დერეფანში. მე ტანში ყრუანტელმა დამიარა. ვფიქრობდი: ეს რაინდი ალბათ ვინმე უცხოელია, აქ ჩვენში შემოხიზნული მეთქი და ვხედავ, რომ სამრეწველო ბანკის დერეფანში შევიდა. მეც რასაკვირველია თან შევყვევი. დერეფანში აუარებელი ქულები ეწყო თაროზე და აგრეთვე მრავალი ჯოხები ეკიდა.

— ბატონო, ეს თეთრ პიჯაკიანი ბატონო, ახლა რომ შევიდა ბანკის დირექტორი ბრძანდება? შევეკითხე თავაზიანათ მეკარეს.


— არა ბატონო, ეს დირექტორის ამხანაგია! იყო პასუხი.

— რა გვარი ბრძანდება?

— გიგინეიშვილი გახლავთ.

მე მეტი აღარაფერი მახსოვს. ამ გვარის გაგონებაზე ალბათ გული შემიწუხდა და შემდეგ რა მოხდა შენ ჩემზე უკეთ იცი.

ამით გაათავა ეშმაკმა და ამით ვათავებ მეც. მორიელო.



მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.



— ოჰო, ჰო, ჰოოო! შეხედე როგორა სკამენ ერთმანეთს გვარდიელი და ჯარის-კაცი ახლა კი კაბუტ საქართველოვ!

მიიღება ხელის მოწერა

# „ეზმაკის მატრახე“

ჟურნალი თვეში ღირს 60 მან. გამოწერა შეიძლება მხოლოდ სამი თვით, ფასის გადახდა წინდაწინ არის საჭირო.

ჟურნალში დასაბეჭდათ მიიღება აგრეთვე **განსხადაგებში** — შედავათიან ფასებში. რედაქცია მოთავსებულია რუსთაველის პროსპექტზე, № 24 (ყოფილი გოლოვინის) და ღიაა დილის 8—2 საათამდე.